პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

6 აგვისტო ხუთშაბათი 1970 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 182 (14786)

ეროვნული ბიბლიოთეკა

წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობა ყოველ წლიურად გადასამუშავებლად აბარებს სამ ათას ტონაზე მეტ ხარისხოვან ჩაის ფოთოლს; მთელი ნედლეულის ნახევარზე მეტს ჩაის საკრეფი მანქანებით კრეფენ. საბჭოთა მეურნეობას ორმოცი ცალი მანქანა „საქართველო“ აქვს. ჩინებულად ფლობენ ტექნიკას მექანიზატორები გ. ძაძამია, პ. კუკავა, ბ. კოლესნიჩენკო, ე. კვარაცხელია. თვითეულმა პირობა დადო მიმდინარე ხეზონში მოკრიფოს 60 ტონა „მწვანე ოქრო“. — გეგმაზე ორჯერ მეტი. ხურათზე: ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფა წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში.

ფოტო ბ. სოკოლოვისა. (საქდისის ფოტოქრონიკა).

კედლის გაზეთი

PRAVDA

5 აგვისტოს მოწინავე

ძველად თუ წარმოიდგენთ ქარხანას ან მშენებლობას, კოლმეურნეობას ან საბჭოთა მეურნეობას, დაწესებულებას ან სასწავლებელს, სადაც კედლის გაზეთი არ გამოდიოდეს. ბევრია ისინი. მარტო მოსკოვში ათეული ათასობით!

კედლის გაზეთები თვალნათლივ განასახიერებენ საბჭოთა პრესის მასობრიობისა და პარტიულობის ლენინურ პრინციპს. თვითეული ასეთი გაზეთის სარედაქციო კოლეგიას ირჩევენ მუშების, კოლმეურნეების, მოსამსახურეების კრებებზე კოლექტივის ყველაზე ავტორიტეტული, ინიციატივიანი და პრინციპული წევრებისაგან. და კედლის პრესის, ისე როგორც მთელი ჩვენი პრესის, მთავარი ამოცანა ის არის, რომ ფართო აქტივზე დაყრდნობით, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერით, გამოხატავდეს კოლექტივის აზრს, რაზმავდეს მშრომელთა ენერგიასა და ნებისყოფას კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისა და ძლიერების განმტკიცებისათვის საბრძოლველად.

ოუევსკელ რკინიგზელთა შორის პოპულარობით სარგებლობს კედლის გაზეთი „სიგნალი“. გაზეთის ირგვლივ შემოკრებილია ავტორთა დიდი აქტივი. ყველა ესენი არიან პატივსაცემი, ინიციატივიანი ადამიანები. ისინი არიან რკინიგზის ოუევსკის განყოფილების მეტწილ საშნახურთა წარმომადგენლები, რაც გაზეთის საშუალებას აძლევს ღრმად და სრულად ახასიათდეს კოლექტივის სხვადასხვა რგოლის საქმიანობას. „სიგნალი“ ყოველდღიური გაზეთია. მას უშვებს სარედაქციო კოლეგიის რამდენიმე ჯგუფი, თვითეული მათგანი უზრუნველყოფს კვირაში ერთი ნომრის მომზადებას. თავის მუშაობას სარედაქციო-კოლეგია აგებს პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების გეგმების შესაბამისად. „სიგნალის“ მასალების ოპერატიულობამ და აქტუალობამ პატივისცემა მოუპოვა გაზეთს მკითხველებში, ადამიანები ხალისით წერენ მასთვის.

ორმოცი წელია ორენბურგის ოლქის კუვანდიკის რაიონის დაბა წოგოსამარკაში გამოდის კედლის გაზეთი „ლენინეცი“. ამ ხნის მანძილზე გამოსულ ათას ექვსას ნომერში ასახულია საბჭოთა მეურნეობა „პობედის“ ისტორია, მეურნეობის მშრომელთა ბრძოლა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ამაღლებისათვის.

კედლის პრესის როლი განსაკუთრებით იზრდება ახლა, როცა საბჭოთა კომუნისტების მრავალმილიონიანი არმია, მთელი ჩვენი ხალხი ემზადება სკკპ მორიგი, XXIV ყრილობისათვის. კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებისა და აქტივისტების უპირველესი ამოცანაა კოლექტივის ყურადღება მიაპყრონ თვითეული საწარმოს, საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულების წინაშე მდგომი ძირითადი საწარმოო ამოცანების გადაწყვეტას. კედლის გაზეთი უნდა დაეხმაროს შეჯიბრების მონაწილეებს მოახდინონ თავიანთი ძალების მობილიზაცია, რათა ვადამდე შეასრულონ წლიური გეგმა, სანიმუშოდ აიღონ მოსავალი, მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ სახელმწიფოს გეგმა-დავალება, წარმოებაში დანერგონ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები. კარგად იქცევიან ის კედლის გაზეთები, რომლებიც მშრომელებს ცოცხლად მოუთხრობენ ხუთწლედის მოწინავეთა შესახებ, ავლენენ წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ახალ რეზერვებს, მიუთითებენ ნედლეულის, მასალების, ელექტროენერგიის მომჭირნეობით გამოყენების გზებს. რამდენიმე სიახლე, რაციონალიზატორული წინადადება დანერგა წარმოებაში კედლის გაზეთების მხარდაჭერის შედეგად! მოწინავე გამოცდილების ოპერატიული გავრცელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ძირეული პრესის ისეთ ფორმებს, როგორიც არის „ელვა“, „საბრძოლო ფურცლები“, რომლებიც დაუყოვნებლივ ეხმაურებიან დღევანდელი დღის ამბებს.

კედლის პრესა აქტიურად გვეხმარება განვავითაროთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი კოლექტივის ცხოვრებაში. მუშა და სოფლის კორესპონდენტები გაბედულად ამხილებენ კონსერვატორებსა და წუნის მკეთებლებს, შრომის დისციპლინის დარღვევებს, ლოთობსა და ხულიგნებს. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან ხელი შეუწყონ საქმიანი კრიტიკის განვითარებას, მიაღწიონ იმას, რომ ამ კრიტიკას დასაბუთებული ხასიათი ჰქონდეს, ზუსტად ხედებოდეს მიზანში, იყოს ქმედითი. და, რა თქმა უნდა, არ უნდა დავუშვათ კრიტიკის ჩახშობის ცდები. როგორც ეს მოხდა, მაგალითად, მოსკოვის ოლქის ნოგინსკის რაიონში, ქარხანა „ხიმრეაქტივკომპლექსში“. კედლის გაზეთმა „ხიმიკმა“ ტაქტიანად, ამხანაგური ფორმით საამქროს ერთ-ერთ უფროსს მიუთითა, რომ უხეშად ეპყრობა ხელქვეითებს. ნაცვლად იმისა, რომ პარტიულ ბიუროს მხარი დაეჭირა სარედაქციო კოლეგიისათვის, მან ამ კრიტიკაში დაინახა „ხელმძღვანელის დისკრედიტაციის ცდა“. ნომერი გამოკიდეს, მაგრამ კრიტიკულ შენიშვნას ქაღალდის თეთრი კვადრატი დაუწებეს, რომელზეც წარწერილი იყო: „ამხანაგებო! მოგვწერეთ წერილები!“. ამის შემდეგ ვის ექნება სურვილი დაწეროს კედლის გაზეთში ნაკლოვანებათა შესახებ?

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის ისეთი კედლის გაზეთები, რომლებიც შორს დგანან თავიანთი კოლექტივების ყოველდღიური საქმიანობისაგან — გამოდიან მხოლოდ დღესასწაულის დღეებში, ხშირად სავსე არიან შემთხვევითი მასალებითა და ილუსტრაციებით. ეს მოწმობს, რომ მთელი რიგი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები ჯერ-ჯერობით ვერ აფასებენ კედლის პრესის ძალას, ცუდად ხელმძღვანელობენ მას. პარტიული ბიუროებისა და კომიტეტების მოვალეობაა უკეთ იზრუნონ გაზეთების სარედაქციო კოლეგიების შერჩევისათვის, მუდმივად ეხმარებოდნენ მათ მუშაობაში, ხელს უწყობდნენ გაზეთების ირგვლივ ავტორთა აქტივის შეკავშირებას.

კედლის პრესა მუშა და სოფლის კორესპონდენტის პირველი ტრიბუნაა. ბევრი მუშა და სოფლის კორესპონდენტი აქ იწყებს თავის შემოქმედებითს გზას, შემდეგ თანამშრომლობს „დიდ“ პრესაში. და კედლის პრესის ეს როლი, როგორც მუშა და სოფლის კორესპონდენტთა კადრების თავისებური სამკედლოსი, პარტიული ორგანოების განსაკუთრებულ ზრუნვას მოითხოვს. პარტიის რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გააძლიერეს დახმარება კედლის გაზეთებისადმი, აწყობენ მათს დათვალიერებებსა და კონკურსებს, სემინარებს სარედაქციო კოლეგიების წევრებისათვის, რედაქციებთან ერთად ქმნიან მუშა და სოფლის კორესპონდენტთა სკოლებს. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების შემადგენლობა ხშირად ახლდება, და აქტივის სწავლებას უნდა ჰქონდეს არა ეპიზოდური, არამედ მუდმივი ხასიათი. კედლის გაზეთის კორესპონდენტთა არმიას სჭირდება წიგნები, ბროშურები, რომლებიც მისცემენ მათ პრაქტიკულ რჩევა-დარიგებას, თუ როგორ გახადონ გაზეთი საინტერესო, მებრძოლი, ქმედითი. გამომცემლობებისა და გამოცდილი ჟურნალისტების მოვალეობაა იზრუნონ იმისათვის, რომ შექმნან დამხმარე სახელმძღვანელობები, რომლებიც გააშუქებენ ძირეული პრესის მუშაობის პრაქტიკას.

კედლის პრესა დიდ დახმარებას მოელის ადგილობრივი და ცენტრალური პრესისაგან. სწორად იქცევიან ის ბეჭდვითი ორგანოები, რომლებიც აქვეყნებენ კედლის გაზეთების მამოხილვებს, მხარს უჭერენ მათს ყველაზე დიდმნიშვნელოვან გამოსვლებს. ძირეული პრესის დონის ამაღლებისათვის ზრუნვა, მისი გამოცდილების სისტემატური შესწავლა და განზოგადება მთელი ჩვენი პრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. „ურნალისტი“ და „რაბოჩი კრესტიანსკი კორესპონდენტი“ მოწოდებული არიან კედლის გაზეთების აქტივის მუდმივი მრჩეველნი იყონ.

კედლის პრესა ქმედითი იარაღია მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საშუალებათა არსენალში, მასების აქტივობისა და ენერგიის დარაზმვაში ეკონომიური და კულტურული მშენებლობის ამოცანათა შესასრულებლად. და მეტად საჭიროა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ თვითეულ შრომითს კოლექტივში რეგულარულად გამოდიოდეს შინაარსიანი, ავტორიტეტული კედლის გაზეთი.

სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავად

პირველი წარმატება

დედაქალაქის მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი ერთსულოვნად გამოეხმაურა ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე სამრეწველო საწარმოთა ინიციატივას — ფართოდ გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXIV ყრილობის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის ღირსეულად შესვედრისათვის.

ფაბრიკის კოლექტივმა სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველ შრომითს წარმატებას მიაღწია. განვლილ შვიდ თვეში პროდუქციის რეალიზაციის გეგმა გადაჭარბებით — 102,1 პროცენტით იქნა შესრულებული, მომხმარებელს გეგმის გადამეტებით გაეგზავნა 409 ათასი მანეთის პროდუქცია. ნახევარი წლის მანძილზე ერთი მომუშავის შრომის ნაყოფიერება 8,1 პროცენტით გაიზარდა, პროდუქციის თვითღირებულება 57 ათასი მანეთით იქნა შემცირებული, ხოლო ზეგეგმითმა მოგებამ 141 ათას მანეთს მიაღწია.

მოპოვებულ წარმატებებში თვალსაჩინო წვლილი მიუძღვით № 2 და № 5 სამკერვალო საამქროს (უფროსები ბ. მიქიაშვილი და ა. მელიქოვა). შრომითს ვახტანგ ასევი თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ მკერავები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი თ. გვარჯალაძე, ლენინის ორდენოსანი ე. გელაშვილი, გ. დაჭავა, დ. ჯიმუხაძე.

□

მუშაობლები საიუბილეო ვახტზე

თელავი. (საკ. კორ.). თელავი ხარაზოებშია ჩამჯდარი. შენდება, მშენდება და სულ უფრო ფართოდ ზლის ფრთებს კახეთის ეს უძველესი ქალაქი. მშენებლობას აწარმოებს № 4 სამშენებლო სამმართველო (უფროსი ი. ბეჟუაშვილი). მშენებლები წარმატებით ეწევიან სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავ ვახტს.

მშენებლებმა 7 თვის გეგმა 119 პროცენტით შეასრულეს, მნიშვნელოვნად გაზარდეს შრომის ნაყოფიერება და გადაჭარბებით შეასრულეს მოგების გეგმა. ახლა მშენებლები ყოველდღიურად იმისათვის იბრძვიან, რომ აგვისტოს ორი კვირის გეგმა მშენებლის დღის — 9 აგვისტოსათვის გაანღიდონ.

მშენებლები ამეამად განსაკუთრებული დამკვრელური ტემპით ამენებენ თელავის 8-წლიანი სკოლის შენობას, საგრენაჟო ქარხანას, „საქსოფლტექნიკის“ თელავის განყოფილების ადმინისტრაციულ სახლს და მთელ რიგ ობიექტებს. მათი პირობაა ვადაზე ადრე დაამთავრონ პონიშნული ობიექტები და წელსვე გადასცენ საექსპლოატაციოდ.

დაწინაურდნენ კერამიკოსები

სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში მწყობრი ნაბიჯით მიიწევს წინ თბილისის კერამიკული კომბინატის (დირექტორი ჯ. ურუშაძე) კოლექტივი. კერამიკოსებმა პროდუქციის რეალიზაციის შვიდი თვის დავალება 101,7 პროცენტით გაანაღდეს, ხოლო სახაქონლო და საერთო პროდუქციისა — 101,6 პროცენტით.

გეგმის გადამეტებით მშენებლებს მიაწოდეს 13.600 კვადრატული მეტრი ჭოსაპირკეთებელი ფილები, 1.050 ცალი ნახევრადფაიფურის ნაწარმი, 21 ათასი მანეთის მხატვრული კერამიკული ნაწარმი.

წლის პირველ ნახევარში შრომის ნაყოფიერება 1 პროცენტით აამაღლეს, ხოლო გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 20,2 ათასი მანეთით შეამცირეს.

საწარმოს კოლექტივი ამ წარმატებას იმით აღწევს, რომ მთავარ ყურადღებას უთმობს ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვას. საკუთარი ძალებით დაამზადეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს კოშკურა საშრობი, რომელმაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესა წნეხფხვნილის ხარისხი, რაზეც ძირითადად დამოკიდებულია მოსაპირკეთებელი ფილების საიმედოობა.

შრომის მსახიერ მაგალითებს იძლევიან ზეინკალ-შემდუღებელი ნ. მურადაშვილი, მეწისქვილე ვ. ხარტიძე, მშრობელი მ. ნულოიანი, მომზიქურებელთა ბრიგადა, რომელსაც ზ. ჩაჩხიანი ხელმძღვანელობს.

ღირსეული შეხვედრა

სასახელო მაჩვენებლებით შეეგებდნენ სკკპ XXIV ყრილობას — ამ დღეებით შრომობენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხაკაიას სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს მუშა-მოსამსახურეები. ნაბიჯები წლის გეგმით უნდა შეესრულებინათ 520.000 მანეთის სამუშაოები, ფაქტიურად დავალებას 220 ათასი მანეთით გადააჭარბეს.

სამმართველოს მშენებლები მომსახურებას უწევენ სოხუმის, ზუგდიდის, მახარაძის, ცხაკაიას, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის, თერჯოლის, ზესტაფონის რაიონებს. ახლა ისინი სწრაფი ტემპით აშენებენ გეგეჭკორის რაიონის დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის საშუალო სკოლას, რომელიც მზად იქნება ახალი სასწავლო წლისათვის. ახალი საშუალო სკოლის შენობას აგებენ აგრეთვე ცხაკაიას რაიონის სოფელ ხორშში. იგი საექსპლოატაციოდ გადაეცემა მომავალ წელს. თერჯოლის რაიონში აშენეს სანერგე სასათბურო მეურნეობა.

სამშენებლო-სარემონტო სამმართველომ გადაწყვიტა მიმდინარე წლის 7 ნოემბრისათვის შეასრულოს 1.200.000 მანეთის სამუშაო და ამით წლიურ გეგმას გადააჭარბოს 18 ათასი მანეთით.

(„კომუნისტის“ კორ.).

საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს საწარმოები ორგანიზაციები პირნათლად ასრულებენ სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებებს

გაძლიერდა ოდიგიტრია-ფოთი-დერეფნის მშენებლობა

საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს საწარმოები და ორგანიზაციები პირნათლად ასრულებენ სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებებს: ახალი გზატკეცილების მშენებლობის, კაპიტალური და მიმდინარე რემონტის ნახევარი წლის დავალება გადაჭარბებით არის შესრულებული.

საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილეს მეორე კვარტალის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშით და პირველი ფულადი პრემიით დაჯილდოვდა თელავის № 2 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის კოლექტივი. მცხეთის № 28 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის კოლექტივს მიენიჭა საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროსა და საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

(საქდისი).

გეგმა — მუშათა უნივერსალიზაცია

ტყიბული. (საკ. კორ.). საიუბილეო შრომითს ვახტზე წარმატებით შრომობენ სტალინის სახელობის შახტში (უფროსი გ. რაზმაძე). საწარმომ ხუთწლედის განვლილ 4 წელსა და ექვს თვეში უკვე ამოიღო და რუსთაველ მეტალურგებს გაუგზავნა 87 ათას ტონაზე მეტი ზეგეგმითი ქვანახშირი. აღსანიშნავია, რომ ამ წარმატების მოსაპოვებლად შახტში 222 კაცით ნაკლები მუშაობდა, ვიდრე ხუთწლედის პირველ სამეურნეო წელს. შრომის ნაყოფიერების ზრდაზე დიდი გავლენა იქონია მუშათა უნივერსალიზაციამ, მომჯნავე პროფესიების დაუფლებამ, მომსახურების ზონის გაფართოებამ. ახლა სათბობის მოპოვებაზე დასაქმებული 90-მდე მუშახტე სამ-ოთხ მომჯნავე პროფესიას ფლობს. ქვანახშირის ამოღების ზრდა განაპირობა აგრეთვე სამ-ოთხ ტექნიკის უფრო ეფექტურმა გამოყენებამ და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვამ.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა საექსპლოატაციო უბნის კოლექტივი, რომელსაც სამთო სპეციალისტი თ. ახვლედიანი ხელმძღვანელობს. უბანმა ვადაზე ადრე უპატაკა საკოქსე ქვანახშირის მოპოვების შვიდი თვის სახელმწიფო დავალების შესრულება. უბნის ანგარიშზე ამოღებულია 3.500 ტონაზე მეტი ზეგეგმითი სათბობი. ხის სამაგრი მასალის, ასაფეთქებელი ნივთიერებისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვის შედეგად აქ დიდი ფულადი სახსრები დაზოგეს.

საწარმოს მოწინავე მეშახტეები ახლა უფრო მეტ ყაირათიანობას იჩენენ, ავლენენ ახალ რეზერვებს, ზრდიან შრომის ნაყოფიერებას, აიაფებენ პროდუქციას, რათა ახალი შრომითი საჩუქრები მოუმზადონ პარტიის XXIV ყრილობას, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავს.

ეროვნული ფასეულობანი

ეროვნული ენა — ეროვნული კულტურა

ეროვნული ენა ეროვნული კულტურის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია. ეროვნული ენა ეროვნული ფასეულობაა, ეროვნული ენა ეროვნული ინტერესია. ეროვნული ენა ეროვნული ინტერესია, ეროვნული ენა ეროვნული ინტერესია, ეროვნული ენა ეროვნული ინტერესია,

საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის შესახვედრად

ბელადის სახელობის რაიონში...

ბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხანაში შეუდგნენ საყოფაცხოვრებო გამომწოვი ვენტილატორების გამოშვებას. უბანი ცალის გამოყენებაში 200-250 ცალ ვენტილატორს უშვებს. ახალი უბანი მექანიზებულია. ეს შესაძლებლობას იძლევა ყოველთვიურად გამოშვებულ იქნას 500 ცალი ზემოგებული ვენტილატორი. სურათზე: ვენტილატორების ასაწყობი უბანი.

ფოტო რ. ბაბარაგანოვისა.
(საქმედისის ფოტოქრონიკა).

ტექნიკა და ადამიანები

ბიბლიოთეკა

მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციის საინჟინრო სამსახური

□

„საკსოფლტექნიკის“ რაიონულ განყოფილებათა ძალიან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოწყობილია მერძევეობის 97 ფერმის კომპლექსური მექანიზაცია. წელს კომპლექსურად მექანიზებული იქნება 40 ფერმა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის მიერ დაყენებულ ახალ ამოცანებთან დაკავშირებით კომპლექსური მექანიზაციის ასეთი მოცულობა სრულებით არ არის საკმარისი.

პასპორტიზაციის მონაცემების მიხედვით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის 4280 სათავსიდან, რაც რესპუბლიკაში არსებობს, კომპლექსური მექანიზაციის განხორციელება შეიძლება მხოლოდ 538 სათავსში, რაც 12,8 პროცენტს შეადგენს, 1.402 სათავსში შეიძლება განხორციელდეს ცალკეული ტექნოლოგიური პროცესების მხოლოდ ხანიერმრივი მექანიზაცია, სოლო 2.290 სათავსში (რაც ყველა სათავსის 54 პროცენტს შეადგენს) მექანიზაციის დანერგვა არ შეიძლება.

მეღორეობის ფერმებში 1110 სათავსიდან 711-ში შეუძლებელია გადარდეს მექანიზაცია. ძროხის ველის მექანიზაციის ფართოდ დანერგვას ხელს უშლის დაბალი წველადობა. მაგალითად, 1353 კოლმეურნეობიდან (1970 წლის დამდეგისათვის) 833-ში საფურაჟე ძროხის საშუალო წველადობა წელიწადში 1000 კილოგრამზე ნაკლებია, 1000-დან 1650 კილოგრამამდეა 380 კოლმეურნეობაში, 1650-დან 2000 კილოგრამამდე — 50 კოლმეურნეობაში და 2000 კილოგრამზე მეტი მხოლოდ 40 კოლმეურნეობაში.

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა საბჭოთა მეურნეობებშიც. 210 საბჭოთა მეურნეობიდან 1000 კილოგრამზე ნაკლები წველადობა აქვს 36-ს; 1000-დან 1650 კილოგრამამდე—68-ს, 1650-დან 2.000 კილოგრამამდე—53-ს და 2.000 კილოგრამზე მეტი—53-ს.

მეცნიერებით დამტკიცებულია, რომ ძროხის 1.000 კილოგრამზე ნაკლები წველადობისას, თუ ფერმაში 100 ძროხაზე ნაკლებია, მექანიზაცია ჯეროვან ეფექტს ვერ იძლევა.

თუ ფერმაში, სადაც 100 ძროხაა, ხელით მუშაობისას ცენტნერი რძის წარმოებაზე საშუალოდ ჩვენს რესპუბლიკაში 28-30 კაცსაათი ხარჯება, კომპლექსური მექანიზაციის დანერგვისას ასეთ ფერმაში შრომის დანახარჯი მცირდება 10-12 კაც-საათამდე. ხოლო თუ ფერმაში 1000 ძროხა გვყავს, მაშინ ტექნოლოგიური პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ნაწილობრივი ავტომატიზაციისას შრომის დანახარჯი ცენტნერი რძის წარმოებაზე მცირდება 3-4 კაც-საათამდე. ბორის რაიონის სოფელ ტინისსიდში შექმნილია მერძევეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმა, სადაც 300-ზე მეტი ძროხა ჰყავთ. აქ ცენტნერ რძეზე ხარჯება სულ ბეჯერი 6 კაც-სათი. უახლოეს ხანში ტინისიდის ფერმაში ძროხის რაოდენობა აყვანილ იქნება 1000 სულამდე. მაშინ შრომის დანახარჯი 6-ის ნაცვლად იქნება არაუმეტეს 3-4 კაც-საათისა.

ბიჭვინთის მერძევეობა-მეგობოსტნეობის საბჭოთა მეურნეობას აქვს ფერმა, სადაც საშუალო წველადობა ერთ საფურაჟე ძროხაზე 3.965 კილოგრამს შეადგენს, ხოლო ცენტნერ რძეზე შეადგენს, ხოლო ცენტნერ რძეზე შრომის დანახარჯი 7,8 კაც-საათს, ცენტნერი რძის თვითღირებულება დაახლოებით 24 მანეთია. სხვენებული საბჭოთა მეურნეობის ფერმა ორენბაღლურად მუშაობს. ასეთი ფერმები ზოგიერთ სხვა საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობებშიც არის.

თიანეთის, ასპინძის, ადიგენის, ახალციხის, ცხინვალის, ჯავის, ლენინგორის, ზნაურის, ახმეტის, გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის, გუდაუთის, ქედის, ზუბუთის, ხულოს, საჩხერის, ჭიათურის, ტყიბულის, ხაშურის, ქარელის. დუშეთის და ზოგიერთ სხვა რაიონში მეცხოველეობის პროდუქტიულობა საშუალორესპუბლიკურ მაჩვენებლებზე დაბალია. ამ რაიონებში სუსტად მუშაობენ „საქსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილებები და რაიადმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოები.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის „საქსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილებების მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს მკვეთრად აამაღლონ მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციის დონე. ახალ ხუთწლედში მექანიზებული იქნება 381,4 ათასი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ანუ 90 პროცენტის ბეტონდარწყლება, 460 ათასი სულის, ანუ 100 პროცენტის სათავსების გაწმენდა ნაკელისაგან, 130,4 ათასი სულის, ანუ 31,0 პროცენტისათვის საკვების დარიგება, და 39,5 ათასი სული ძროხის, ანუ 22,0 პროცენტის წველა.

მეღორეობის ფერმებში ავტოდარწყლებულია მექანიზებული იქნება 95,6 ათასი სულისათვის, ე. ი. 40,3 პროცენტით, სათავსების გაწმენდა 85,1 ათასი სულისათვის, ანუ 36 პროცენტით და საკვების დარიგება 71.3 ათასი სულისათვის, ანუ 30,0 პროცენტით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ფრონტზე დასახულია გრანდიოზული ამოცანები მემცენარეობის, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის და სოფლის მეურნეობის ყველა სხვა დარგის განვითარების ხაზით. ეს ამოცანები შეიძლება გადაჭრად მხოლოდ იმ პირობით, თუ დაჯერებულ ტექნოლოგიური პროცესების კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციას. საქმე ეხება იმას, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება ინდუსტრიულ საფუძველზე მოვაწყოთ. ჩვენს რესპუბლიკაში ამ მიმართულებით დიდი მუშაობა წარმოებს მეფრინველეობის დარგში. შენდება მეფრინველეობის მსხვილი სახელმწიფო და საკოლმეურნეობათაშორისო ფაბრიკები ხორცისა და კვერცხის დასამზადებლად. მიმდინარე წელს დამზადდება 4,0 ათასი ტონა ფრინველის ხორცი, ხოლო 1975 წელს 20,0 ათასამდე ტონა.

გარდა აღნიშნულისა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურმა გაერთიანება „საქსოფლტექნიკამ“ ვალდებულება იკისრა 1971-1975 წლებში ჩაატაროს შემდეგი სამუშაოები. რესპუბლიკის ხუთ რაიონში მეცხოველეობის ყველა ფერმაში დაენერგოს კომპლექსური მექანიზაცია და გაუწიოს ამ ფერმებს კომპლექსური მექანიზაციისა და ტექნიკური მომსახურება. უზრუნველყოს მოწყობილობით მეფრინველეობის ყველა ფაბრიკა, რომლებიც ახალ ხუთწლეულში აშენდება, და მაქსიმალური მონაწილეობა მიიღოს მათს მოწყობაში და გამართვაში. მერძევეობის ყველა ფერმა, რომლებშიც მექანიზაცია დაინერგება — უზრუნველყოს არსებანდარტული მოწყობილობით, რისთვისაც თელეთის საგენსერიმენტო ქარხანაში რეკონსტრუირებულ იქნება სპეციალური საამქრო მილნამუშადისა და არასტანდარტული მოწყობილობის დასამზადებლად.

1973 წელს აშენდება და საექსპლოატაციოდ გადაეცემა სპეციალიზებული სახელოსნო მეცხოველეობის მოწყობილობის რემონტისათვის. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ღორის მშენებარე სახელმწიფო სასუქბელ ფერმებში მოწყობილობის კომპლექტაციას „საქსოფლტექნიკის“ ორგანოები განახორციელებენ.

ზემოაღნიშნულ სამუშაოთა განსახორციელებლად მომზადდება და შეიქმნება გამმართველ ოსტატთა და ექსპლოატაციის მუშაკთა ბრიგადები, რომლებიც სახელმწიფოთ და საკოლმეურნე ფერმებში იმუშავებენ.

ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერებსა და მექანიზატორებს არაერთელ გადაუჭრიათ მრავალფეროვანი, მრავალდარგოვანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის რთული ამოცანები. ეჭვი არ არის, რომ ისინი აშენრიადაც პირნათლად შეასრულებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებებს.

ი. ხოხლოვი,
რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი.

დრო არ ითმენს!

რატომ აცდენენ სამთო კომბაინებს?

სასწაული ვოლგაზე

ნარკვევი

მსოფლიო დღეს

საბჭოთა კავშირის საჩუქარი

კაირო, 4 აგვისტო. (საკდესი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ახალი ჭიწების ათვისების სამინისტროში გაიმართა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისთვის მექანიზებული სასოფლო-სამეურნეო ფერმის საჩუქრად გადაცემის აქტზე ხელმოწერის საზეიმო ცერემონია. ეს მექანიზებული სასოფლო-სამეურნეო ფერმა საბჭოთა კავშირის დახმარებითა და საბჭოთა სპეციალისტების უშუალო მონაწილეობით აშენდა ატ-ტაბვირის პროვინციაში. ფერმასთან გრთად ეგვიპტელ ხალხს საჩუქრად გადაეცა ათასზე მეტი სასოფლო-სამეურნეო მანქანა და სხვა მოწყობილობა.

საბჭოთა კავშირის მხრივ აქტს ხელი მოაწერეს აქ მყოფმა სსრ კავშირის მეელექტროენერგეტიკის და წყლიანი მეურნეობის მინისტრმა ე. ი. ალექსეევსკიმ, ხოლო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მხრივ — ახალი-მიწების ათვისების მინისტრმა დოქტორმა მუჰამედ ახმედ ბაქრმა.

„ატ-ტაბვირის პროგრესიული მექანიზებული სასოფლო-სამეურნეო ფერმა, — თქვა ცერემონიაზე გამოსვლისას ეგვიპტის მინისტრმა, — საბჭოთა კავშირ-არაბეთის მეგობრობის სიმბოლოა".

მუჰამედ ახმედ ბაქრმა გულითადი მადლობა გადაუხადა საბჭოთა მთავრობასა და ხალხს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისათვის გულწრფელი და უანგარო დახმარების გამო და გამოთქვა იმედი, რომ კვლავაც გაფართოვდება და განმტკიცდება ორი ქვეყნის თანამშრომლობა.

კლასობრივი ბრძოლის წინა ხაზზე

ინგლისი

ლონდონი, 5 აგვისტო. (საკდესი). დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული ინგლისის მთელი მუშათა მოძრაობის ისტორიასთან, ნათქვამია ჯონ გოლანის სტატიაში, რომელიც ეძღვნება დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავს. დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა იგი გამოაქვეყნა ეჟენალ "ლეიბორ მანსლლის" აგვისტოს ნომერში. პარტიის დაარსების პირველი დღეებიდანვე, ნათქვამია შემდეგ სტატიაში, იგი ყოველთვის იყო კლასობრივი ბრძოლის წინა ხაზზე. დიდი ბრიტანეთის კომუნისტურმა პარტიამ თვალსაჩინო როლი შეასრულა ეკონომიური დეპრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში, თვით ბრიტანეთის კუნძულებზე ანტიფაშისტურ მოძრაობაში, ესპანეთში ინტერნაციონალური ბრიგადის საქმიანობასა და ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. პარტია ყოველთვის იბრძოდა იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ინგლისის მუშათა კლასის ინტერესებისადმი ერთგულება, წერს ჯონ ფოლანი, საფუძველად უდევს დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის ინტერნაციონალისტურ პოზიციას. იგი უწინარეს ყოვლისა აისახა მსოფლიოში პირველ საბჭოთის რუსეთის სოციალისტურ ბანაკთან სოლიდარობით.

იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი ბრიტანეთის კომუნისტურმა პარტიამ შექმნა სოლიდარობისა და ამხანაგობის მტკიცე კავშირი ინდოეთის, ბირმის, ცეილონის, არაბული აღმოსავლეთის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ერთგულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან.

პარტიის წლისთავის აღნიშვნის საუკეთესო საშუალება არის, ყაზს უსვამს დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, შეგასრულოთ მისი ანდერძი — ერთგულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან.

ინდოეთი

მთავრობის კომიტეტების რეორგანიზაცია

დელი, 5 აგვისტო. (საკდესი). კაბინეტის რეორგანიზაციისთანავე ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ განაბორციელა მთავრობის იმ კომიტეტების რეორგანიზაცია, რომლებიც ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების საქმიანობის უმნიშვნელოვანეს სფეროებს განაგებენ.

როგორც „ეი ეჩ ეი ჰერალდი" იუწყება, ამ ორნინძეტების შედეგად მთავრობის კომიტეტების რიცხვი 9-დან 7-მდე შემცირდა. კერძოდ, ლიკვიდირებულია მთავრობის შინაგან საქმეთა, საგარეო საქმეთა და თავდაცვის კომიტეტები. მათ ნაცვლად შეიქმნა ერთი — პოლიტიკურ საქმეთა კომიტეტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პრემიერ-მინისტრი. ინდირა განდი გაზდება აგრეთვე ეკონომიური კოორდინაციის კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც შეიქმნა ფასების, წარმოებისა და ექსპორტის კომიტეტის ნაცვლად, აგრეთვე ამას წინათ შექმნილი დანიშნულების „კომიტეტის მეცნიერებისა და ტექნიკის მუდმივი ჯგუფის თავმჯდომარე.

ამერიკის მხედრიონის დანაშაული

ვიეტნამი

პანოი, 4 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის მხედრიონი კვლავ სჩადის დანაშაულს ვიეტნამელი ხალხის წინაშე, ნათქვამია კომუნიკეში, რომელიც აქ გამოაქვეყნა ვიეტნამში ამერიკის დანაშაულის გამოძიების კომისიამ.

ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის დაახლოებით 1500 ჯარისკაცმა მარიონეტული ჯარების 5 ათას ჯარისკაცთან ერთად, აღნიშნულია ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტოს მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში, 14 ივლისს მოაწყო ეგრეთწოდებული „ბეკონზ ვიდის" ოპერაცია რაიონში, რომელიც 50 კილომეტრზე მდებარეობს დანანგის სამხრეთ-დასავლეთით, და სასტიკად გაუსწორდა სოფლების მშვიდობიან მოსახლეობას.

ნიქსონის მთავრობამ, ხაზგასმულია დოკუმენტში, გასცა ა ფრეთვე ბრძანება საამერიკო ვიეტნამის სხვადასხვა რაიონებს მოაფრქვიონ შხამიანი ქიმიური ნივთიერებანი.

ბრაზილია

ბრაზილიის ოკეანეთის ფლოტი

ბუენოს აირესი, 4 აგვისტო. (საკდესი). ბრაზილიის ოკეანეთის ფლოტი ბუენოს აირესში ჩავიდა ოფიციალურ ვიზიტზე. ბრაზილიელ მეზღვაურებს ბუენოს აირესელ ოფიცრებთან ერთად ეწვიენ ბუენოს აირესის ოლქის ზოგიერთ ადგილებს.

ბოლივია

ბოლივიის ეროვნული ბანკი

ლა პასი, 4 აგვისტო. (საკდესი). ბოლივიის ეროვნული ბანკი ეროვნულ ეკონომიკურ ინსტიტუტად ჩამოყალიბდა. ბანკის ფუნქციებს ასრულებენ ეროვნული ეკონომიკური ინსტიტუტის ადგილობრივ ორგანოებ-ბანკები.

ეგვიპტე

ეგვიპტეში ბაბუ-ალ-ბაბის ბრძოლა

ბეიბარსი, 4 აგვისტო. (საკდესი). ეგვიპტეში ბაბუ-ალ-ბაბის ბრძოლა ბეიბარსი ბრძოლა ეგვიპტეში ბაბუ-ალ-ბაბის

ჩვენი ინტერვიუ

გასტროლები წარმატებით დამთავრდა

ვოლგოგრადელებმა „ოქროს ბილეთი“ ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივი. ქართველმა მსახიობებმა ერთი თვის, განმავლობაში ვოლგისპირა ქალაქის მუსიკის მოყვარულებს გააცნეს თავიანთი შემოქმედება. გასტროლების წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა თეატრის დირექტორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს დიმიტრი მჟედლიძეს. როშელმაც გაგვიზიარა თავისი შთაბეჭდილებები გასტროლების ირგვლივ.

— **ჯ აგვისტოს** უკანასკნელად დაეშვა ფარდა გორკის სახელობის დრამატული თეატრის სცენაზე, სადაც მიმდინარეობდა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლები. ზ. ფალიაშვილის „დაისით“ დამთავრდა სიგალასტროლო სპექტაკლები. ვოლგოგრადელები აღფრთოვანებული ტაშითა და ყვავილების თაიგულებით ემშვიდობებოდნენ ძვირფას სტუმრებს, რომლებმაც ერთი თვის მანძილზე წარმატებით უჩვენეს მრავალფეროვანი რეპერტუარი ვოლგოგრადელებს.

ერთი თვის წინათ, იელისს, ამავე სპექტაკლით დაიწყო ჩვენი გასტროლები ქალაქში, რომელიც ოქტომბრელებისა და გმირობის სიმბოლოდ იქცა მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობისათვის. ერთვნული სიამაყე ქართული ოპერა „დაისი“ მხურვალედ მიიღო ვოლგოგრადელმა მაყურებელმა“ — ასე დაწერა მეორე დღეს „ვოლგოგრადსკაია პრავდამ“.

შთაბეჭდილებათა წიგნში გაჩნდა პირველი ჩანაწერები: „**შესანიშნავია, ბრწყინვალე მუსიკაა**“ — ვოლგოგრადელები. „**მოხიბლული ვართ დიდებული ქართული ოპერით „დაისით“ და მისი შემსრულებლებით**“ — ხელს აწერდა სტალინგრადის ბრძოლების მონაწილე ა. პისკუნოვი.

„**ბალეტმა „გორდამ“ ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ეროვნული კოლორიტით, მომხიბლავი გრაციოზულობით, ტემპერამენტით და გმირული შემართებით**“ — ჩაწერა შთაბეჭდილებათა წიგნში ექიმმა კოლპაკოვმა, ხოლო ამერიკელმა ტურისტებმა, რომლებსაც ძალიან მოეწონათ „გორდა“. ამავე წიგნში ასეთი სტრიქონები დატოვეს: „**დიდი სურვილი გვაქვს ერთხელ კიდევ გიხილოთ ჩვენთან ამერიკის შეერთებულ შტატებში. რადგანაც ასეთი მგზნებარე ტემპერამენტისა და კოლორიტის ბალეტი არასოდეს არ გვინახავს**“.

გასტროლები წარმატებით გრძელდებოდა. ერთი თვის მანძილზე ნაჩვენები იქნა „პიკის ქალი“, „დონ პასკუალე“, „სევილიელი დალაქი“, „ჩიო-ჩიო-სანი“, „სოფლის პატიოსნება“, „ჯიმბაზები“, „კარმენი“, „აიდა“, „რიგოლეტო“, „ტოსკა“. ბალეტები: „ეთელი“, „გედის ტბა“, „დონ-კიხოტი“, „ბაიადერა“. ყოველი სპექტაკლისადმი ინტერესი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. მით უფრო, რომ ვოლგოგრადელებს საკუთარი საოპერო თეატრი არა აქვთ.

ვოლგოგრადი 80 კილომეტრზეა გაჭიმული და მოსახლეობის უკეთ მომსახურების მიზნით მოგაწყეთ გასვლითი სპექტაკლებიც ვოლუსკში და ვოლგოგრადის ერთ-ერთ დაშორებულ რაიონში — „ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის“ კულტურის სასახლეში, სადაც მაყურებელი მხურვალე მოწონებით შეხვდა ჩვენს სპექტაკლებს. ყველგან, სადაც კი ჩვენი გამოსვლები იწყობოდა, ვოლგოგრადელები გულწრფელი აღტაცებით ხვდებოდნენ ჩვენს მსახიობებს.

ვოლგოგრადელებმა გაიცნეს და შეიყვარეს საოპერო და საბალეტო ხელოვნების ისეთი აღიარებული ოსტატები და ახალგაზრდა შემსრულებლები, რომლებიც არიან პ. ამირანაშვილი, ზ. ანჯაფარიძე, ნ. ანდღულაძე, ნ. ტუღუში, მ. ამირანაშვილი, ლ. ჭყონია, თ. მუშკუდიანი, ი. შუშანია, შ. კიკნაძე, ვ. წიგნაძე, ზ. სოტკილავა, რ. კაკაბაძე, ტ. მალიშევა, თ. ლაფერაშვილი, პ. თოშაძე, თ. თაქთაქიშვილი, ლ. მითაიშვილი, ვ. აბულაძე, ა. მონავარდისაშვილი, ი. ჯანდიერი, თ. სანაძე, ვ. გუნაშვილი, ც. ბალანჩივაძე, კ. ფირცხალავა, ა. გაგუა, ტ. ჭანტურია და სხვები; დირიჟორები: ვ. ფალიაშვილი, დ. მირცხულავა, ჯ. კახიძე, გ. აზმაიფარაშვილი, თ. ჯაფარიძე. დარბაზში ხშირად გაისმოდა ტაში, რომელიც სპექტაკლის მხატრულ გაფორმებას ეძღვნებოდა.

გასტროლები სტალინგრადის მიწაზე მარად დაუვიწყარი იქნება ჩვენი თეატრის კოლექტივისათვის.

მომავალი სეზონი ახალ გეგმებს გვისახავს. წინ საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავია, რომელსაც ჩვენ დიდი შემოქმედებითი წარმატებებით უნდა შევხვდეთ.

ასპინძის რაიონი. ხერთვისის ციხისა და მტკვრის ხეობის ხედი.

ფოტო ს. თევზაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲨᲘᲜᲓᲝᲣᲡᲚᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲚᲯᲕᲘ ᲘᲜᲯᲐᲮᲣᲚᲔᲡ

ᲞᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). ზედარგნელი მაკარ ერმილეს-ძე ბრეგვაძე ორჯონიკიძის სახელობის მაღაროში მუშაობდა. კომუნისტი მაღაროელი დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე მოქმედ არმიაში გაიწვიეს. იგი მონაწილეობდა კავკასიის დაცვისათვის გმირულ ბრძოლებში, თავი გამოიჩინა შეუპოვრობით, მამაცობით. ერთ-ერთ უთანასწორო ბრძოლაში ქართველი ვაჟკაცი მძიმედ დაიჭრა. იგი კისლოვოდსკის ევაკო ჰოსპიტალში მოათავსეს. აქ იგი გარდაიცვალა 1943 წლის 28 დეკემბერს. ოჯახისათვის დიდხანს უცნობი იყო მ. ბრეგვაძის დაღუპვის ამბავი...

გასული წლის 21 სექტემბერს გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა გიორგი პაპიაშვილის წერილი სათაურით „მამულიშვილნი“. იქ ნათქვამია, რომ მ. ბრეგვაძე სხვა ქართველ ვაჟკაცებთან ერთად დაკრძალულია ქ. კისლოვოდსკში.

თანასოფლელებმა და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს მშრომელებმა ახლახან მოინახულეს შინმოუსვლელი თანამემამულის საფლავი. გმირი მებრძოლი განისვენებს თითქმის ქალაქის ცენტრში — ძმათა სასაფლაოზე. თანამემამულეებმა შინმოუსვლელის საფლავზე მშობლიური სოფლიდან წამოღებული მიწა და ყვავილები მოაყარეს...

ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲭᲔᲓᲚᲝ

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ კვების მრეწველობის ტექნიკუმის პედაგოგიური კოლექტივი სერიოზულ მუშაობას ეწევა იმისათვის, რომ თანამედროვე მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას აღუზარდოს საშუალო სპეციალური განათლების მქონე კვალიფიციური კადრები.

1969 წელს გაიხსნა სამოქალაქო და სამრეწველო ნაგებობათა მშენებლობის ფაკულტეტი, რომელიც ამზადებს მშენებელ ტექნიკოსებს, გათვალისწინებულია მომდინარე სასწავლო წელს ტექნიკუმში შეიქმნას ფაკულტეტი სამარკშეიდერო სპეციალობით.

ტექნიკუმს აქვს კარგად მოწყობილი ფიზიკის, ქიმიის, ხაზვის, ტექნოლოგიისა და მექანიზაციის კაბინეტ-ლაბორატორიები; წელს შეიძენენ 8.000 მანეთის დგამავეჯსა და ხელსაწყოებს. საერთო საცხოვრებისა და სასადილოს კაპიტალური რემონტისათვის დახარჯება 10.000 მანეთი.

ბ. ალუბაია.

ᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝ

მწერლის შენიშვნები

ᲛᲐᲡ ოცი წელიწადია ვიცნობ. ამ ოცი წლის მანძილზე არ გამოცვლილა. ტანმორჩილი, ჯუნთებმაგარია, თმა, ახლა უკვე შეთხელებული, მოკლედ აქვს შეკრეჭილი, შავულვაშიანია, სახეზე მზე მოჰკიდებია, მაგრამ, ვგონებ, ყველაზე შესანიშნავია მისი თვალები — დაფიქრებული, სერიოზული და ალერსიანი. არის ღრმა და დიდი ცნება — ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ. გიორგი დევაძეს ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ თვალები აქვს. ამაზე უკეთესს მის შესახებ ვერაფერს ვიტყვი.

გიორგი დევაძე ბორჯომის რაიონის სოფელ კორტანეთში ცხოვრობს. ეს სოფელი ახალდაბასა და ბორჯომს შუაა. ელექტრომატარებელი აქ ერთ წუთს ჩერდება. ეს საკმაო დროა იმისათვის, რომ ადამიანი ვაგონში ავიდეს ან ვაგონიდან ჩამოვიდეს ბარგიანად (თუმცაღა, თუ შეფერხდი, მატარებელი მოგიცდის), მაგრამ სრულებით არ არის საკმარი იმისათვის, რომ კაცმა ნახოს და დაფასოს ამ ხეობის სილამაზე.

როცა გიორგიმ კორტანეთში ჩაიყვანა ახალგაზრდა ცოლი ანიჩკა, სოფელი კორტანეთი მაღლა იყო ხეობაში, დაბალი ეკლესიის ახლოს, ისეთ ადგილას, რომელიც დაფარული იყო ყველა ქარებისაგან და მტრებისაგანაც. აქაურ მცხოვრებლებს ჩვეულებად არა ჰქონდათ ეშენებინათ სახლები ადამიანის თვალთაგან მოფარებულ კუთხეებში, სახლდებოდნენ ღია ადგილებზე, საიდანაც შორს გარშემო მოჩანს ყველაფერი და რომლებსაც შორიდანვე შეამჩნევს მზაკვარი. მაგრამ მომდევნო საუკუნეებში, როცა თურქთა და ირანელთა ურდოები შავი ჭირივით მოდიოდნენ ხოლმე აქაობას, ხოცავდნენ მიწათმოქმედებს, სწვავდნენ სახლებს, ჩეხდნენ ტყეებსა და ვენახებს, ადამიანებმა იწყეს ვიწრო ქონგურებიანი ციხე-სამაგრეების აგება მიუვალ მწვერვალებზე., სოფლების დამაღვა ხეობებში, ხოლო ქალაქების შენება მიწის ქვეშ, როგორიც არის, მაგალითად, ვარძია.

იმ დროიდან ცოტა ცვლილება როდი მოხშდარა აქაურ მთებსა და ხეობებში. ამას მოგვაგონებს რკინიგზაც, ხეობაში რომ მიიკლაკნება მტკვრის გაყოლებით, საფლავების ძეგლებიც კორტანეთის ძველი იკლესიის ახლოს კოლმეურნეობის დამაარსებელთა ძეგლებიც, ელექტრონული ეჭი სახლებშიც, გზის ქერეხი სამზარეულოებშიც. კინოაპარატის ხმაურიც კლუბში, პიანინოს ხმაც სკოლის ფანჯრებიდან და ბევრი, ბევრი რამ სხვაც.

გიორგი დევაძე ღიანდაგის დარაჯად მუშაობდა. დღისით და ღამით ათეული წლების მანძილზე შემოვლიდა ხოლმე თავის უბანს, და აქ არცერთი ავარია არ მოხდარა. შემდეგ პენსიაზე გადავიდა.

როგორც უკვე ვთქვით, კორტანეთი წარსულში შექუჩრული იყო ხეობაში და მაგრად შეკუმშული მუშტს წაგაგდა. რევოლუციის შემდეგ კი ფარფოდ გადაშლილი ხელის გულს დაემგვანა. პირველნი, ვინც ხეობიდან ღია ადგილზე გავიდნენ და დასახლდნენ, იყვნენ გიორგი და მისი ცოლი ანიჩკა. თანდათანობით, ყოველ წელიწადს ჩადიოდნენ დაბლა სხვა სოფლელებიც, და მტკვრის დაკლაკნილ ნაპირზე გაშენდა ახალი კორტანეთი. სოფლის გარშემო ერთი მხრივ ფიჭვნარიო, ნაძვნარით და მუხნარით დფარული მთებია, მეორე მხრივ, მტკვარს გაღმა, კლდიანი ფლატეებია. ეს ძალიან ლამაზია, მაგრამ სილამაზეს თავიანი მინუსები ჰქონდა — აქ არ იყო სახნავი მიწები და კოლმეურნეობას მრავალი წლის მანძილზე ძალიან უჭირდათ. კოლმეურნეობისგანან, მაგალითად, მოითხოვდნენ მარცვლეულს, ხორცლის დასათესი ადგილი კი არსად იყო, მოსავალი მეტად მცირე იყო. კოლმეურნეობაში მუშაობდა თვითონ გიორგიც — ღამით თავის უბანს შემოუვლიდა ხოლმე, დღისით კი სიმინდს თოხნიდა, — ანიჩკაც, მათი ოთხი შვილი შოფერი იყო არმიიდან დაბრუნდა და, მისი დაქორწინების დრო რომ დადგა, მამამ და ძმებმა სახლი აუშენეს. შემდეგ არმიიდან დაბრუნდა მეტყველე ომარი. მასაც აუშენეს სახლი. მერე არმიიდან დაბრუნების შემდეგ დრო დადგა დაქორწინებულიყო ჯემალიც, ახლა კოლმეურნეობის სამხერხაოს რომ განაგებს. მანაც მამისა და ძმების დახმარებით აიშენა სახლი. ახლა კი ბადის სიღრმეში ძველი ფიცრული გვერდით შენდება უკვე მიშიკოს ახალი სახლი — მან მოფრის სპეციალობა არმიაში მიიღო.

მიხარია იმის ცქერა, ძია გიორგის ნაკვეთზე, მის ბაღში ერთმანეთის გვერდით რომ წამომართულა მისი შვილების — ჩემი ძმობილების სახლები. მაგონდება — თავდაპირველად, სანამ იღოს შვილები პატარები იყვნენ, ძია გიორგი და ძალუა ანიჩკა იღოს სახლში ცხოვრობდნენ და შვილების გაზრდაში ეხმარებოდნენ. შემდეგ ომარის სახლში გადავიდნენ და მასაც ეხმარებოდნენ შვილებს მოვლაში. ახლა ჯემალს ეხმარებიან. ერთი წლის შემდეგ კი მიშიკოს მიმველებიან. ძალუა ანიჩკა ამბობს, დიდიდას და პაპის მოვლეობას რომ შევასრულებთ, ჩვენს ძველ სახლში დავბრუნდებითო.

უყურეთ ამ ლამაზ ადამიანებს — ვაჟიც, და ოჯახს მაინც უჭირდა ცხოვრება, როგორც კორტანელეთა ყველა ოჯახს. ასე გრძელდებოდა მანამდე, სანამ კოლმეურნეობებს მიანდობდნენ ინიციატივას, სანამ აქაურ კოლმეურნეობაში გაჩნდებოდა ბაღმოსტნები, სანამ განვითარდებოდა მეცხოველეობა.

მაგრამ თუ კორტანეთი ახლა ძნელი საცნობია, ამაში დამსახურება პირველ რიგში მიუძღვით თვითონ კორტანელებს — შრომისმოყვარე და შეუპოვარ ადამიანებს. ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია არ გავიხსენო ერთი შემთხვევა.

თბილისში მუშაობა მიეჩირდა, მეგონა ყველაფერი მიშლიდა, მაღიზიანებდა. წავედი კორტანეთში, რადგანაც ვიცოდი ამ სოფლის საოცარი თვისება — საკმარისია აქ ჩამოვიდეს დაღლილი, გაღიზიანებული ადამიანი, თუნდაც ავადმყოფი, დალიოს ცივი წყაროს წყალი, შეისუნთქოს ფიჭვის ფისის გამაბრუებელი სუნი, დაჯდეს, გამოეცალაპარაკოს ადამიანებს, და მის სულში სიმშვიდე და სიხსნევე დაისადგურებს.

მაგრამ ამჯერად ასე როდი იყო — რატომდაც კორტანეთშიც მეჩირდა მუშაობა. ძია გიორგი განთიადისას წავიდოდა და საუზმობისას დაბრუნდებოდა, გამავიჯრებდა, ისევ წავიდოდა, და ერთმანეთს უკვე საღამოს, ვახშმობისას ვხვდებოდით. მეორე თუ მესამე დღეს თავისი გამჭრიახი კეთილი თვალებით შემომხედა და მკითხა: „რატომ ხარ ცუდ გუნებაზე?“ მე ვუპასუხე: „წყრა მიჭირს“. იგი ჩაფიქრდა. გაშლილი დაკოჭრებული ხელისაული გამომიწოდა და მითხრა: „დახედე, ჩემს ხელებს. მთელი სიცოცხლე ვმუშაობ. ჯერ კიდევ ვერ მივაღწიე იმას, რაც მინდა. მაგრამ განა ეკოლეს ვიტეხ? შენ კი? ერთ დღეს ზიხარ და უკვე ჩივი, წყრა მიჭირს, არ გამომდისო“.

კარგი გაკვეთილი იყო. შემრცხვა, და მეორე დღეს მუშაობა კარგად წარიმართა.

მთაზე ვდგავარ და ბაღებში ჩაფლულ სოფელს დავყურებ. რკინიგზის ბაქანს იქით ოცი წლის წინათ იქვე იწყებოდა ძია გიორგის ბაღი, რომელშიც პატარა ფიცრული ხ

ლიელი დალაქი“, „ჩიო-ჩიო-სანი“, „სოფლის პატიოსნება“, „ჯიმბაზები“, „კარმენი“, „აიდა“, „რიგოლეტო“, „ტოსკა“. ბალეტები: „ეთელი“, „გედის ტბა“, „დონ-კიხოტი“, „ბაიადერა“. ყოველი სპექტაკლისადმი ინტერესი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. მით უფრო, რომ ვოლგოგრადელებს საკუთარი საოპერო თეატრი არა აქვთ.

ვოლგოგრადი 80 კილომეტრზეა გაჭიმული და მოსახლეობის უკეთ მომსახურების მიზნით მოგაწყეთ გასვლითი სპექტაკლებიც ვოლუსკში და ვოლგოგრადის ერთ-ერთ დაშორებულ რაიონში — „ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის“ კულტურის სასახლეში, სადაც მაყურებელი მხურვალე მოწონებით შეხვდა ჩვენს სპექტაკლებს. ყველგან, სადაც კი ჩვენი გამოსვლები იწყობოდა, ვოლგოგრადელები გულწრფელი აღტაცებით ხვდებოდნენ ჩვენს მსახიობებს.

Ე. Ნ. ᲐᲠᲯᲔᲕᲐᲜᲘᲫᲔ —

ᲤᲘᲚᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტმა **ეთერ ნიკოლოზის ასულმა არჯევანიძემ** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურათმცოდნეობის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: **„ქართული ფოლკლორის შესწავლის პრობლემა რევოლუციამდელი საქართველოს რუსულ პერიოდიკაში“.**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ და.მტკიცა ე. ნ. არჯევანიძისათვის ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

Ე. Ი. ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ —

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის დოცენტმა ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატმა **ევგრაფ იაკინთს-ძე კანდელაკმა,** მოსკოვის სერგო ორჯონიკიძის სახელობის საინჟინრო ეკონომიური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაიცვა დისერტაცია თემაზე: **„საქართველოს შავი მეტალურგიის ეკონომიური პრობლემები“.**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ეკ. ი. კანდელაკისათვის ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭება.

ᲡᲐᲡᲙᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲓᲐᲜ

ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲯᲘᲠᲘᲗᲘᲡ ᲕᲔᲠᲐᲒᲝᲑᲐ...

ᲪᲘᲮᲘᲓᲐᲜ გამოსვლის შემდეგ გ. ზურიკაშვილი ისევ ავტომანქანის საჭეს მიუჯდა, თავი კვლავ ფეოლებურად იგრძნო, ადვილად დაივიწყა აღრინდელი მსხვერპლიც და პატიმრობაში გატარებული დროც.

„საქარიოფლმშენის“ გურჯაანის მეოთხე ტრესტის სატვირთო ავტომანქანას თავის ნიბაზე დააჭროლებდა.

იმ დღეს გ. ზურიკაშვილი წითელწყაროდან არხიოსკალოში საშენ მასალას ეზიდებოდა. მუშაობა რომ დაამთავრა, ჩაიღაპარაკა, — მოდი ერთი ქვემო ქედში გავიხეირნენ. — თქმა და ასრულება ერთი იყო. ავტომანქანა მთელი სისწრაფით მიჰქროდა. ქვემო ქედში მან თავისი ამფსონები ვერ იპოვნა და უკან გამობრუნდა. გზაზე გ. ზურიკაშვილი სიჩქარეებს წალმა-უკუღმა რთავდა, ჯიდვეედა მოძრაობის წესებს, ღიღინებდა, მანქანა ზიზაგით მიქაჯდა. შედეგმაც კი როდი დაიგვიანა, გაცდა თუ არა გზის სავალ ნაწილს, მანქანა მარცხნივ გადაიყვანა...

ამ დროს საწინააღმდეგო მხრიდან მოდიოდნენ დები ბაბლია და სონია სვანიძეები .თავზეხელაღებულმა მძღოლმა ავტომანქანა დებს დაუჯახა და ბეტონის ღობეს მიასრესა.

გ. ზურიკაშვილმა ავტომანქანა მხოლოდ ერთი წამით შეაჩერა, დაზარალებულებს გულცივად დახედა და, ნაცვლად დახმარების აღმოჩენისა ავტომანქანა გააქროლა. მაგრამ მანქანა მალე მწყობრიდან გამოვიდა. გ. ზურიკაშვილს ბევრი როდი უფიქრია, მანქანაც მიატოვა, გაიქცა...

დები სვანიძეები შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალნენ.

სიღნაღის რაიონის სახალხო სასამართლომ გ. წიკარიძის თავმჯდომარეობით განიხილა ავტომოჯირითე გ. ზურიკაშვილის საქმე და 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა სასჯელის მკაცრი რეჟიმის შრომაგასწორების კოლონიაში მოხდით. მასვე ჩამოერთვა ავტომანქანის 5 წლით მართვის უფლება სასჯელის მოხდის შემდეგ.

ზ. მესხენგისერი.

ᲜᲐᲘᲠ-ᲜᲐᲘᲠᲘ

ᲖᲦᲕᲘᲡ ᲚᲝᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ... ᲠᲐᲓᲘᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ ᲢᲠᲐᲚᲨᲘ

რა არ ხვდება მებადურთა ტრალში. ზოგჯერ, როგორც ომის გამოძახილი, იქ პოულობენ ნაღმებსა და ტორპედოებს. ზოგჯერ მებადურები პოულობენ განსაცვიფრებელ მარჯნებს, ზვიგენებს, შიმშერებს, დელფინებს, ნახევარტონიან თინუსებსა და ზღვის სხვა მობინადრეებს. „კასიოპეის“ ტრალერის ეკიპაჟმა, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ ატლანტიკაში ეწევა რეწვას, ამასწინათ თავისებური რეკორდი დაამყარა. პირველსავე ტრალს თევზის ნაცვლად ამოპყავა კონტეინერი, რომელშიც ახალი რადიოსადგური იყო, ხოლო შემდეგ ამოღებაზე ტრალში აღმოჩნდა ორი ზღვის ლომი. ერთი მათგანი განთავისუფლებისთანავე წყალში ჩახტა, მეორე კი ძალზე თამამი აღმოჩნდა: ჯერ კარგად დანაყრდა ახალი თევზით, შემდეგ კი ტრაპის საფეხურებით მშობლიურ სტიქიას დაუბრუნდა.

ბ. კოხი,

(საკდესის კორ.).

კალინინგრადი.

ᲐᲘ ᲝᲮᲐᲮᲘ

ᲘᲕᲘᲐᲗᲘ შემთხვევის მოწმენი გახდნენ შოფერი ᲗᲘ. ბარციცკი და ტენკინის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის მუშა ა. ლომიკოვსკაია. კოლიმის მაღაროდან მატროსოვის სახელობის მაღაროელთა დაბა უსტ-ომჩუგში მიმავალი წაყოყდნენ ექვსი დათვისაგან შემდგარ ოჯახს. ისინი გზაზე ისხდნენ და არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ ავტომანქანას.

ხანგრძლივი სიგნალების შემდეგ დათვები მშვიდად ადგნენ და ფუჩქარებლად გაშორდნენ იქაურობას.

მაგადანი.

Ე. ᲓᲔᲜᲘᲡᲝᲕᲘ.

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲗᲝᲗ

ᲠᲐᲓᲘᲝ

7 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲘ

პირველი პროგრამაზეთ

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 08.30 — სიმფონიური მუსიკა, 09.30 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 11.05 — ხ. ციხაკაძე. მუსიკა ბალეტ „დემონიდან“, 12.10 — საუბარი „დიდადგანვითარებული სოფლის მეურნეობის სრულყოფა კომუნიზმის აშენების აუცილებელი პირობაა“, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — მღერის საქართველოს სახელმწიფო კაპელა, 13.50 — მოსწავლეთათვის გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ მიმოხილვა, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ნ. გუდიაშვილი. კამერული ნაწარმოებები, 17.35 — მოსწავლეთათვის. რადიონარკვევი „კომკავშირული ბანაკი ტაშისკარში“, 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.15 — საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის ხალხური საკრავთა ორკესტრის კონცერტი, 19.45 — ა. ბუკია. რომანსები და სიმღერები, 20.30 — საუბარი „თბილისის უნივერსიტეტის ხეალინდელი დღე“, 20.45 — მ. რაველი. ქორეოგრაფიული პოემა „ვალსი“, 21.00 — „ძილისპირული“, 21.10 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 22.00 — კრშან ჩანდრი. „მთვარის აღვსების ღამეს“, 22.50 — გ. ციცინაშვილი. სიმღერები, 23.30 — ს. რახმანინოვი. მე-4 საფორტეპიანო კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

6 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲘ

11.05 — ახალი ამბები (მოსკოვი), 11.15 — კინოპროგრამა, 11.45 — ლატვიის უსინფონიათა საზოგადოების სიმღერის სახალხო გუნდი „იოლანტა“ (5 აგვისტოს გადაცემის გამეორება), 12.10 — მხატვრული ფილმი — „სამი ალვა პლიუშიხიზე“, 18.00 — ახალი ამბები, 18.05 — განცხადებები, 18.10 — „ცეროდნის ეკრანი“, 18.50 — „ჩვენი ისტორია“, 19.10 — კინონარკვევი, 19.30 — გადაცემა ციკლიდან — „ხალხური სიმღერის ოსტატები“ — ფიროზ მახათელაშვილი, 20.00 — „ობიექტივია ამერიკა“ — საერთაშორისო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — კინოლექტორიუმი.

ᲙᲘᲜᲝ

6 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲘ

ოქტომბერი — **განთავისუფლება** (I, II სერია); ამირანი (საზამთრო), საქართველო (წითელი დარბაზი), ისანი (საზამთრო), გზაფხული, სპარტაკი, კოლხიდა (საზამთრო), ბათუმი, ბლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო), ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, თბილისი, სპორტი — **პური, სიყვარული და ფანტაზია;** ამირანი (საზაფხულო), ვარძია, ყაზბეგი (პირველი დარბაზი), გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო), სიხაროული (თემქის დასახლება) — **ოხ, ეს პაპა;** ფილარმონიის ბაღი — **დედა და მთელი სიცოცხლე;** საქართველო (მწვანე დარბაზი), ისანი (საზაფხულო), 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო), ნაკადული, ვარძია, ყაზბეგი (მეორე დარბაზი), კომკავშირელი — **მაზანდარანელი ვეფხვი;** საქართველო (საზაფხულო) — **საიბა** (I, II სერია); კოლხიდა (საზაფხულო) — **ადამიანი ბინის ორდერით;** თანამგზავრი — **აგენტი უნებლიეთ;** ბლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო) — **დედათა მონასტერი;** კოლმეურნე — **გუშამარჯოს სიყვარულს** (I, II სერია); გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო) — **პრინცესა;** ყარანი — **სიყვარულის ასაკი,** ქრონიკა — **შენთან მოვდივარ ესპანეთო.**

რედაქტორის მოადგილე

ბ. თათარიშვილი.

ᲛᲝᲛᲮᲚᲘᲡᲘ ᲙᲐᲠᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲚᲔᲑᲐ

ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ

ᲙᲕᲚᲐᲕ Თ. ᲚᲔᲥᲕᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲚᲔᲒᲝᲕᲘᲡ საკავშირო ჩემპიონატზე ცურვაში ჩინებული ტრადიცია დამკვიდრდა — ყოველდღიურად რეკორდების ცხრილში ახალ-ახალი შესწორება შეაქვთ. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით თ. ლეკვეიშვილის წარმატებაზე 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში. და აი ლვოვიდან კიდევ ახალი სასიხარულო ცნობა მივიღეთ. თ. ლეკვეიშვილმა ამჯერად 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში ქალთა შორის მეორე ოქროს მედალი მოიპოვა, ამასთანავე 0,4 წამით გაუუმჯობესა სსრ კავშირის რეკორდი, აჩვენა დრო — 2.29,2.

4 აგვისტოს ასპარეზობაზე ჩინებულად გამოვიდა 15 წლის მოსკოველი მოსწავლე ოლგა კუდაშოვა. მან ჯერ კიდევ წინასწარ შეხვედრებში 800 მეტრი თავისუფალი სტილით გაცურა 9 წუთსა და 58,9 წამში და, გაუმჯობესა სსრ კავშირის რეკორდი, რომელიც სამი წლის მანძილზე ეკუთვნოდა თამარ კრავჩენკოს (სოსნოვა). ამავე დღეს ასპარეზობაზე ო. კუდაშოვა გამოდიოდა 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში, მაგრამ აქ მას საპრიზო ადგილი არ დაუკავებია. ამ სახეობაში ჩემპიონობა შეინარჩუნა ვოროშილოვგრადელმა ლიდია მილეინამ — 5 წუთი და 21,1 წამი. მეორე ოქროს მედალი მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონმა და რეკორდსმენმა ნოვოსიბირსკელმა ტატიანა ზოლოტენიცკაიამ, აჯერად 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 1 წუთი და 02,2 წამი.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲗ

● **ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ** იპოდრომზე ფინიში ჰქონდა „ავტორალს-70“. ამ რთულ ასპარეზობას გაუძლო მხოლოდ სამოცდაათმა ეკიპაჟმა. შეჯიბრების უკანასკნელ პროგრამას წარმოადგენდა რბოლა იპოდროზზე. წინასწარი მონაცემებით ავტორალში „ზაპოროჟეცის“ კლასის მანქანებით გაიმარჯვა ესტონეთის დუეტმა.

● **ᲑᲠᲘᲐᲜᲡᲙᲨᲘ** გაიმართა ᲛᲚᲔᲚᲝᲡᲐᲜᲗᲐ ასპარეზობა. დიდი ხნის შესვენ